თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო

1.1. ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო არის დოქტორის აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი ორგანო, რომელიც შექმნილია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე.
1.2. ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო შედგება დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე ფაკულტეტის ყველა სრული და ასოცირებული პროფესორისაგან.
1.3. სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით, საბჭოს შემადგენლობაში განსაკუთრებულ შემთხვევებში შეიძლება შევიდნენ დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე სხვა პირები უნივერსიტეტის წესდებით დადგენილი წესით.

5.1. სადისერტაციო საბჭო:

 ირჩევს და ამტკიცებს საბჭოს თავმჯდომარეს;

 ამტკიცებს სადისერტაციო საბჭოს მდივანსა და თავმჯდომარის მოადგილეს;

 ამტკიცებს დარგობრივი სექციის ხელმძღვანელსა და მდივანს;

 სადოქტორი პროგრამის ხელმძღვანელის წარდგინებით ამტკიცებს დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელს;

 ამტკიცებს დოქტორანტის სადისერტაციო ნაშრომის თემას;

 წყვეტს დოქტორანტის თემისა და სამეცნიერო ხელმძღვანელის შეცვლის საკითხს.

 იღებს გადაწყვეტილებას აკადემიური პატიოსნების ნორმების დარღვევის შემთხვევაში დოქტორის აკადემიური ხარისხის ჩამორთმევის შესახებ.

 ახორციელებს აკადემიური საბჭოს დადგენილებითა და ამ დებულებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

 ამტკიცებს სადისერტაციო საბჭოს მუშაობის რეგლამენტსა და სხვა აუცილებელ პროცედურებს და სადისერტაციო ნაშრომის ტექნიკური მონაცემების ინსტრუქციას;

 სადისერტაციო კომისიის დასკვნის საფუძველზე ანიჭებს დოქტორის აკადემიურ ხარისხს;

5. 2. სადისერტაციო საბჭოს სხდომები ტარდება საჭიროებისამებრ წელიწადში, სულ მცირე, ორჯერ მაინც.
5.3. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე სადისერტაციო საბჭოს სხდომას იწვევს საკუთარი ინიციატივით, დეკანის, სადისერტაციო საბჭოს მდივნის, სადოქტორო ხელმძღვანელის ან სადისერტაციო საბჭოს, სულ მცირე, სამი წევრის წინადადებით.